ხელშეკრულება N23

CPV – 37524100- საგანმანათლებლო თამაშები

ერთი მხრივ **აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილე **გოჩა ჭუბაბრიას** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი" ჩატარება და მასში აფხაზეთის ა/რ სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა დანართის შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულებაზე მოწერის დღიდან 15 ივნისის ჩათვლით შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

2.1.1.მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

2.4.2.ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის" პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.

2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი" ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

2.5. მხარეები ვალდებულია:

2.5.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

2.5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2.5.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

2.5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

2.5.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1.აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება ღონისძიების ჩატარების შემდგომ 10 დღის ვადაში.

3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილე ირმა გოგოლაძე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.
4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. მხარეებისთვის ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტის სახით ქართულ ენაზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა ან/და დამატება შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N68, ს/კ 249258761 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა 200122900	შპს „ეტალონი-მედია“ მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203 ს/კ 204572024 სს „ბანკი ქართუ“ ბანკის კოდი CRTUGE22 ა/ა GE08CR0030086101003608
მინისტრის მოადგილე /გ.ჭუბაბრია/	დირექტორი /მ.ღოღობერიძე/

The Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia
Digitally signed by The Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia
Date: 2023.03.27 11:19:15 +04'00'

Etaloni-Media LLC
Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2023.03.27 12:22:42 +04'00'

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“

„ეტალონის“ ფორმატით ინტელექტუალური კონკურსების მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში დისტანციურ რეჟიმში ჩატარება

აფხაზეთის ა/რ

შპს „ეტალონი-მედია“ წარმოგიდგენთ პროექტის ნაწილობრივ ხარჯთაღრიცხვას

ხარჯის დასახელება	თანხა (ლარი)
კონკურსის შეკითხვების მომზადება-შერჩევა-რედაქტირება-პროგრამული დამუშავება „ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	872
„ეტალონის“ ექსკლუზიურ ფორმატში ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში ჩატარების ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1215
პროექტის საავტორო ჰონორარის ნაწილობრივი ანაზღაურება	421,47
ჯამი	2508,47
პლუს დღგ 18%	451,53
სულ	**2960**

დირექტორი

Etaloni-Media LLC

Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2023.03.20 11:49:00 +04'00'

/მ.ღოღობერიძე/

ქ.თბილისი

შეთანხმებულია და ვადასტურებთ ხელმოწერებით, რომ მიმწოდებლის შპს ,,ეტალონი მედიას" მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში:

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე
/გ.ჭუბაბრია/

განათლების და საგანმანათლებლო
პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილე

/ი.გოგოლაძე/